საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის

ბრძანება №5
2018 წლის 11 იანვარი

ქ. თბილისი

„მიმღებ ცენტრში განთავსების ან სხვა ადგილას განსახლების წესი“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 26 იანვრის №80 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„მიმღებ ცენტრში განთავსების ან სხვა ადგილას განსახლების წესი“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 26 იანვრის №80 ბრძანების (ვებგვერდი, 27/01/2017, 010170000.22.029.016388) პირველი მუხლის პირველი პუნქტით დამტკიცებულ „მიმღებ ცენტრში განთავსების ან სხვა ადგილას განსახლების წესის“ (დანართი №1) მე-7 მუხლის პირველ პუნქტში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თავშესაფრის მაძიებელს მიმღებ ცენტრში განთავსების უფლება უწყდება ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ სამინისტროს გადაწყვეტილების მიღებისა და ამ გადაწყვეტილების თავშესაფრის მაძიებლისათვის, კანონმდებლობის შესაბამისად, გაცნობის დღიდან.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი — **სოზარ სუბარი**